



სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემი
გამოდის 1957 წლიდან
№9 (297) ნოემბერი, 2016 წელი

გაზეთი

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია შეხვდა მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების და საექთნო საქმის ბაკალავრის I-VI სემესტრის სტუდენტებს. შეხვედრები სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.



გვ 3



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ასე ხელდავინ და აფასებენ

ჩეხეთის უნივერსიტეტის მედიცინის, სტომატოლოგიის და კლინიკური მაცნეარებაის ფაკულტეტის, ჯანდაცვის და სოციალური დახმარების დეპარტამენტის პროფესორი ჯუნ კილინგი:

ჩეხეთის უნივერსიტეტსა (დიდი ბრიტანეთი) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა Erasmus Mundus-ის ფარგლებში დაიწყო. ჩეხეთის უნივერსიტეტის წარმომადგენლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში არსებული სწავლების ხარისხმა. ეს კარგი საფუძველი იყო თანამშრომლობისთვის.

ჩვენ გვაქვს საერთო მიზანი: საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ჩვენი ქვეყნების კულტურათა დაახლოება, ჩვენი უნივერსიტეტების კურსკულუმების დახვეწა... ჩვენი მიზანია, გავზარდოთ თაობა, რომელიც მზად იქნება მულტიკულტურულ საზოგადოებაში მოღვაწეობისთვის.



(ფრაგმენტი 2016 წლის 21 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საჭმოს სხდომაზე გაკეთებული მოხსენებიდან)



გვ 3

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება, დოქტორი შაიკე ფაიჩი, გერმანიის საელჩოს ეკონომიკური თანამშრომლობის განყოფილების უფროსი დანიელ შასი, ასევე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ზონის საუნივერსიტეტო კლინიკის პედიატრიის პროფესორი მიხაელ ლინტცე, რომელმაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის კიდევ ერთი დონაცია განახორციელა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალი, მეოთხე კორპუსი დასრულებულია და აქ სწავლა გაზაფხულის სემესტრში დაიწყება



გვ 3



სტუდენტური გვირგვინი:

- ქველმოქმედი ექიმები
- ვარდისფერი ოქტომბერი
- „Halloween“-ის
- დღესასწაულზე
- სპორტული კვირეული
- „Life As An International Student Of TSMU“

გვ 4



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის III სემესტრის სტუდენტი ლიკა ბუღაძე: „ვფიქრობ ხატვის პროცესში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ საშუალება გეძლევა მთლიანად გათავისუფლდე ემოციისგან და ყველა შეგრძნება თუ განცდა ნახატზე „დაატე“. ნახატებით გადმოვცემ ჩემს დამოკიდებულებას საგნებისა და მოვლენების მიმართ. რომელიმე კონკრეტულ ჟანრს არ ვირჩევ – ხშირად ამას ხასიათი და განწყობა განსაზღვრავს.“

გვ 8

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანია სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში საინტერესო კლინიკური შემთხვევა დაფიქსირდა: ჰემორაგიული გამონაყარის და შეშუპების თავისებურების გათვალისწინებით, კლინიკური მდგომარეობა შეფასდა როგორც ჩვილ ბავშვთა მწვავე ჰემორაგიული ედემა – acute hemorrhagic edema of infancy (AHEI). ჩვილ ბავშვთა მწვავე ჰემორაგიული ედემა არის თვითლიმიტირებადი, ვასკულიტი, რომელიც EULAR/PRINTO კლასიფიკაციით მიეკუთვნება ლეიკოციტოკლასტიური ვასკულიტების ჯგუფს.




გვ 5




გვ 7

ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტში პატივი მიაგეს სამედიცინო დარგის საუკეთესო წარმომადგენლის, პროფესორი შალვა თოიძის ხსოვნას. დეპარტამენტის პოლში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მისი ბიუსტი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში, პირველად საქართველოში, ჩატარდა იმეშიური ინსულტის ინოვაციური მეთოდით მკურნალობა, რომელიც 2009 წლიდან დაინერგა აშშ-ში და შემდგომ – ევროპაშიც.



გვ 5



გვ 6

გასულ თვეს პირველად მიიღეს თავის ქალის ჩონჩხის 3D იმპლანტი, რომელიც დედალურად ერგებოდა რეალური თავის ქალის ჩონჩხის სტრუქტურას. ეს არ იყო ჩვეულებრივი პლასტიკა, დამზადებული იყო ნივთიერებისგან PolyEtherEtherKetone (PEEK), რაც უდიდეს საშუალებას იძლევა.



გვ 7

ისეთი ადამიანი, როგორც ვანო, არ შეიძლება დავიწყოთ. ვანოს სიცოცხლე ყველაზე მეტად ჭირადებოდა. მან ამქვეყნიდან ნასვლის მიზეზითაც დაამტკიცა თავისი ფასი – ძმის სიყვარული სიცოცხლის წყურვილზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, იმდენად ძლიერი, რომ ფიქრიც კი არ დასჭირვებია, თემოს გადასარჩენად თავი გაენირა, თუმცა, საუბედუროდ, ბედისწერამ არცერთი არ დაინდო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ტყვიით მონამვლის პრევენციის ეროვნული კვირეულის ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია – „გარემოს ჯანმრთელობის აქტუალური საკითხები“. ლონისძიებას დაესწრო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიგლა აგულაშვილი. კონფერენციამ დაინტერესება გამოიწვია.

გვ 2



გარემოს ჯანმრთელობის აქტუალური საკითხები



მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ტყვიით მოწამვლის პრევენციის ეროვნული კვირეულის ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია — „გარემოს ჯანმრთელობის აქტუალური საკითხები“.

საგუბაო ვიზიტით იტალიაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით დელიბაშვილი, მოადგილე — ირინა კაპუტეივაძე, მთავარი სპეციალისტი, პროგრამა „erasmus+“-ის კოორდინატორი — ნინო კანდელაკი და სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი სალომე ვორონოვი „erasmus+“-ის პროექტის ფარგლებში, სამუშაო ვიზიტით იტალიაში გაემგზავნენ.

„გაგზავთა და მოხარდათა მედიცინა - IX“

29-30 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია - „გაგზავთა და მოხარდათა მედიცინა - IX“.

„უკეთესი ჯანმრთელობისთვის“

2016 წლის 25-27 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ზაზა ბოხუა, მივლინებით იმყოფებოდა ბაქოში, სადაც მონაწილეობა მიიღო გავრცელების მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის და ფონდ „თანადგომის“ მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში — „უკეთესი ჯანმრთელობისთვის“.

ინდოლოგია სტუდენტებს „დივალის“ დღესასწაული აღნიშნავს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა ინდურ დღესასწაულთან დაკავშირებული კონცერტი. „დივალის“ დღესასწაულს ოქტომბრის ბოლო კვირაში ინდუსტები მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ. ამ ზეიმს „ცეცხლების ფესტივალსაც“ უწოდებენ და ის ინდუსტურ კალენდარში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა. ინდუსტები ანთებენ ლამაზ ფანებს და სახთლებს და ამით ბოროტზე სიკეთის გამარჯვებას აღნიშნავენ.

მოს დაბინძურებით მიყენებული ზარალი ოთხჯერ უფრო დიდია, ვიდრე გასული 40 წლის მანძილზე. ამ ფონზე, ჩვენ კიდევ უფრო მოტივირებული და მობილენობის უნდა გავხდეთ გარემოს დასაცავად. მადლობას ვუხდით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის, მზად ვართ მათთან ერთად მომავალში არაერთ გარემოს დაცვით პროექტსა და ღონისძიებაში მივიღოთ მონაწილეობა.

რუჯის უნივერსიტეტის პროექტორს, პროფესორს ელენა სტანგელისი

რუჯის უნივერსიტეტის პროექტორს, პროფესორს ელენა სტანგელისი, იგი ხელმძღვანელობს პროექტს, რომლის ფარგლებშიც პერუჯის უნივერსიტეტში იგზავნება სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, რეზიდენტები და აკადემიური პერსონალი.

კვებურელი-კოპაძე

კონფერენციაზე პირველი მოხსენება წარადგინა ბონის უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსმა, თსსუ-ის საპატიო დოქტორმა მიხაელ ლენტეკემ. მოხსენებამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია: განიხილეს პედიატრიის სხვადასხვა აქტუალური საკითხი.

როდუქციული ჯანმრთელობის ნამყვანმა სპეციალისტებმა

როდუქციული ჯანმრთელობის ნამყვანმა სპეციალისტებმა და მოქმედმა მეან-გინეკოლოგებმა თბილისიდან და სოხუმიდან. შეხვედრის მიზანი იყო დარგის სპეციალისტებისთვის თანამდროვე გაიდლაინების და პროტოკოლების გაცნობა აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოსაყენებლად.

სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში

2016 წლის 18 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცისფერ დარბაზში ჩატარდა „სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამის“ პრეზენტაცია, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ნაწილობრივ დაფარვას.

ჩინეთის დელეგაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია ჩინეთის სინცზიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (新疆医科大学) დელეგაცია უნივერსიტეტის კლინიკის ვიცე-პრეზიდენტების – პაერჰატი-ბაიჰეტის და მუჰუიანის, ასევე, კლინიკის წარმომადგენელთა: იანგ პინგის, ხიუ იანის, იანგ ინინგის და მულადერ-დუოლი ი კუნის შემადგენლობით. დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვედნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია; ვიცე-რექტორები – პროფესორი ხათუნა თოდაძე, პროფესორი რიმა ბერიანაშვილი; ასოცირებული პროფესორი ირაკლი კობრიძე; ასევე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი გიორგი აბესაძე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი დავით დელიბაშვილი.

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაზე, როგორც ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მათი ვიზიტის მიზანი იყო სინცზიანის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის განათლების, მედიცინის და კლინიკის მენეჯმენტის სფეროში მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება.

ჩინეთის დელეგაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

18 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთის უნივერსიტეტის მედიცინის, სტომატოლოგიის და კლინიკური მეცნიერებების ფაკულტეტის, ჯანდაცვის და სოციალური დახმარების დეპარტამენტის პროფესორი ჯუნ კოლინგი, ჩინეთის უნივერსიტეტის „Erasmus+“ და „Erasmus mundus“-ის პროექტების კოორდინატორი.

ჩინეთის დელეგაციის წევრებს, პროფესორ ირმა მანჯაიძეს, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორს, ასოცირებულ პროფესორ ეკა ეკლაძეს.

თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დასკვნითი ღონისძიება

მიმდინარე წლის 7 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგანგებო დარბაზში გაიმართა თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დასკვნითი ღონისძიება, სადაც სერტიფიკატები და მადლობის სიგელები გადაეცა ნარჩინებულ მაგისტრანტებს და მალაი კადემიური მოსწავლეების მქონე სოციალურად დაუცველ სტუდენტებს.

საქალაქო სამსახურთან თანამშრომლობაში. საზოგადოებას მიმართა თბილისის მერმა, ბატონმა დავით ნარმანიამ. მან ისაუბრა მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამაზე, რომელიც 2015 წლიდან წარსცილებდა და წარმატებულ სტუდენტებს ხარაოსებას ითვალისწინებს. პირველ და მეორე ეტაპზე სტიპენდია მოიპოვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 149 ნარჩინებულმა მაგისტრანტმა, ხოლო მეორე-მესამე ეტაპზე სტიპენდია გადაეცემა 75 მაგისტრანტს.

სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში

2016 წლის 18 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცისფერ დარბაზში ჩატარდა „სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამის“ პრეზენტაცია, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ნაწილობრივ დაფარვას.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს ან რამდენიმეს ერთად: მრავალმხრივი სტუდენტების ოჯახის წარმომადგენელი სტუდენტი (ოთხი და მეტი შვილი); მკვეთრად/ მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი; დედ/მამით ობოლი სტუდენტი; ორი და მეტი თსსუ-ის სტუდენტი ერთი ოჯახიდან; სოციალურად დაუცველი სტუდენტი;

დაჯილდოვდნენ აფხაზეთიდან დავნილი ნარჩინებულები სტუდენტები

17 ნოემბერს, სტუდენტთა საერთაშორისო დღეს, „მადის“ ჯაზ-კლუბში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით, ჩატარდა ტრადიციული შეხვედრა აფხაზეთიდან დავნილი ნარჩინებულ სტუდენტებთან. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები და უმაღლესი სასწავლებლების რექტორები.

ვერენიტების განმტკიცებას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ნარჩინებულ სტუდენტებს მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აღნიშნული ღონისძიების ტრადიციულ ჩამოყალიბებისთვის და თითოეულ სტუდენტს კარგი სწავლისთვის. მან საზეიმოდ დააჯილდოვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აფხაზეთიდან დავნილი მედიცინის ფაკულტეტის ნარჩინებულ სტუდენტები: ნურკი ქარდავა, ნატო გვათუა, ნინო კირკელია, ანჟელა ქარდავა, სალომე შენგელია, ირინა ხურცილაძე, დიანა ჯალაღონია.

ტრენინგი „საველე პირველადი დახმარება“

27 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამედიცინო საზოგადოების ორგანიზებით სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი – „საველე პირველადი დახმარება“. ტრენინგი ჩატარდა გენერალ მაზნიანაშვილის სახელობის

ახალგაზრდული ლეგიონის ლეგიონერმა, დავით ნარტყოშვილმა. ტრენინგზე განიხილეს საველე პირობებში დაშავებულთა პირველადი დახმარების და ევაკუაციის საკითხები. აუდიტორიას საშუალება ჰქონდა გაცნობოდა სამხედრო-სამედიცინო ეკიპირებას (საკაცე, პირადი აფთიაქი და სხვა).



კიდევ ერთი ღონისძიება პროფესორებისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება, დოქტორი ჰაიკე ფაიჩი, გერმანიის საელჩოს ეკონომიკური თანამშრომლობის განყოფილების უფროსი დანიელ შაასი და თარჯიმანი ეკატერინე რაისინერი, ასევე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ბონის საუნივერსიტეტო კლინიკის პედიატრიის პროფესორი მიხაელ ლენტცე, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი მეგობარია და ქველმოქმედია. სტუმრებს შეხვედრის შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიცე-რექტორები, პროფესორები: ხათუნა თოდაძე და რიმა ბერიაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი დავით დელიბაშვილი და უფროსის მოადგილე ირინა კაპეტიაძე, უცხო ენების ცენტრის დირექტორი, პროფესორი ნინო აბრალავა და თსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის დირექტორი, ასისტენტ-პროფესორი ლია ძიძიგურაძე.



ელ ლენტცეზე, აღნიშნა მისი დამსახურებების შესახებ. მადლობა გადაუხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, გერმანიის საელჩოს თანადგომისთვის და სიხოვა, იქნებ გამოიქვეყნოს რამე გზა, რომ პროფესორი ლენტცე ისევ დარჩეს საქართველოში. ის უკვე მეოთხე წელია, პროგრამა DAAD-ის ფარგლებში, საქართველოშია და პროგრამით გათვალისწინებული ვადა მალე ამოიწურება...

გერმანიის ელჩმა მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გულთბილი დახვედრისთვის. მან აღნიშნა, რომ გაეცნო რა იმ გერმანელი პროფესორების სიას, რომლებიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორები არიან, აღიარებს, რომ ყველა მათგანი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა გერმანიის სამედიცინო სფეროში. მადლობა გადაუხადა პროფესორ ლენტცეს იმ დიდი თავდადებისთვის, რაც მან გამოიჩინა საქართველოში მოღვაწეობისას.

პროფესორი მიხაელ ლენტცე საქართველოში გატარებულ დროს აფასებს როგორც «ფანტასტიკურ დროს მის ცხოვრებაში». მან მადლიერებით მოიხსენია ყველა, ვინც წვლილი შეიტანა მის საქართველოში ჩამოსვლაში: გერმანიის მთავრობა, საერთაშორისო პროექტი DAAD, დიდი სიყვარული გამოხატა ქართველი კოლეგების მიმართ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის დირექტორმა, ლია ძიძიგურაძემ კიდევ ერთხელ აუწყა გერმანელ სტუმრებს, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ბატონი ლენტცეს მოღვაწეობა. «ჩვენს კლინიკას სჭირდება პროფესორი ლენტცე. უაღრესად მადლიერი და მოხარული ვიქნებით, თუ გამოიძებნება საშუალება და ის გააგრძელებს საქართველოში სამედიცინო და პედაგოგიურ საქმიანობას».

შეხვედრის დასასრულს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სიმბოლიკიანი საჩუქრები გადასცა სტუმრებს და უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლების დიდი მადლიერება კიდევ ერთხელ დაუდასტურა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი სტუდენტებს შეხვდა

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია შეხვდა მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების და საქეთნო საქმის ბაკალავრის I-VI სემესტრის სტუდენტებს. შეხვედრები სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. თითოეული შეხვედრისას აუდიტორიის დიფერენცირება სწავლების წლების მიხედვით მაქსიმალურ საშუალებას აძლევდა სტუდენტებს, გამოეხატათ აზრი სწავლების პროცესთან, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით და მოეხმინათ სხვა სტუდენტების მოსაზრებებზე იმავე პრობლემაზე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი დიდი ინტერესით უსმენდა თითოეული სტუდენტის წინადადებას, მყისიერ რეაგირებას ახდენდა მათ შენიშვნებზე და შესაბამის სტრუქტურებს ავალბდა გარკვეულიყოფნით და მოეგვარებინათ პრობლემატური საკითხები. როგორც რექტორმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია პირდაპირი კომუნიკაცია სტუდენტებთან, მათი პრობლემებისა და სურვილების პირველწყაროდან მოსმენა.



აუდიტორიასა და რექტორს შორის გულახდილი დიალოგი გაიმართა. სტუდენტებს საშუალება მიეცათ, გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ, შენიშვნები გამოეთქვათ როგორც საკუთარი ვინაობის დაფიქსირებით, ისე – კონფიდენციალურადაც.

კანცლერის მოადგილემ, ალექსანდრე ბუაჩიძემ სტუდენტებს წარუდგინა პრეზენტაცია ინფრასტრუქტურის პროექტების შესახებ, რომლებიც მომავალ წელს განხორციელდება. მოსმინა მათი წინადადებები და სურვილები.

უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აუდიტორიას გააცნეს ინფორმაცია გაცვლითი პროგრამებისა და მათში მონაწილეობის მიღების შესახებ.

კონკრეტულ საკითხებზე კომენტარები გააკეთეს: ვიცე-რექტორებმა, პროფესორებმა: ხათუნა თოდაძემ და რიმა ბერიაშვილმა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა, ირინა კვაჭაძემ; მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი მჭედლოშვილმა; ბიბლიოთეკის დირექტორმა ეკა ვერულაშვილმა; კანცლერის მოადგილემ, ალექსანდრე ბუაჩიძემ; იურიდიული სამსახურის უფროსმა მზია დუნდუამ.

დასასრულს, რექტორმა მადლობა გადაუხადა სტუდენტებს გულახდილობისთვის. შეხვედრაზევე გასცა რეკომენდაციები და დავალებები, რომ წამოჭრილი პრობლემები შეისწავლონ შესაბამისმა სტრუქტურებმა და მოახდინონ რეაგირება. როგორც დაზარალებულნი გამოვლინდნენ.

სტუდენტებმა აღნიშნეს, მათთვის უმნიშვნელოვანესი იყო ასეთი უშუალო საუბარი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და კმაყოფილები არიან იმ დამოკიდებულებით, რასაც ბატონი რექტორი, ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ამჟღავნებდა მათ მიერ წამოჭრილი პრობლემატური საკითხებისადმი. მათი შეფასებით, ეს იყო თანასწორი დიალოგი და საქმიანი ურთიერთობა სტუდენტებსა და რექტორს შორის, რის გამოც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური პერსონალის მადლიერები არიან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალი, მეოთხე კორპუსი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებს ახალი – მეოთხე კორპუსი შეემატა — მალე მწყობრში ჩადგება თანამედროვე მოთხოვნების შესაფერად ნაგები ექვსსართულიანი ნათელი შენობა, სადაც ამიერიდან განლაგდება ფარმაცევტული

ფაკულტეტი, პათოლოგიური მედიცინის დეპარტამენტი და ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის კლინიკურ ცენტრთან ერთად.

ყოფილი ვივაროუმის შენობა, რომელიც 2475 კვ.მ-ს შეადგენდა, სულ სხვა იერსახე

მიიღო – 4200 კვადრატულ მეტრ ფართზე განლაგებულ 8 ათეულამდე აუდიტორიაში, რომლებიც აღიჭურვება სათანადო უახლესი აპარატურით, უკვე თავისუფლად და ყოველგვარი ხელისშემშლელი მიზეზის გარეშე, წარმართება სასწავლო პროცესი.

სასწავლო კორპუსის მშენებლობა განხორციელდა სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით და ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ძალისხმევით.

მოამზადა ღარაჯან კომპანია



ქველმოქმედი აქტივები



ჩვენად, არამედ სხვა ადამიანების მომავლის შესაცვლელად აკეთებენ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ცდილობენ სასიამოვნო სასარგებლო შედეგს მიუღწეონ და საქველმოქმედო ღონისძიებებით არაერთი ადამიანი გაახარონ. მიუხედავად საერთაშორისო დღის ფარგლებში, 10 ოქტომბერს, თვითმმართველობის ორგანიზებით მოეწყო საქველმოქმედო მსვლელობა-აქცია – „სიკეთე გადამდებია“, რომელიც მოიცავდა ორ ღონისძიებას: სპეციალურად ამ დღისთვის შეგროვილი ტანსაცმელი გადაეცა ნორიოს ბავშვთა სახლს; გაიმართა მსვლელობა რუსთაველის გამზირზე, სადაც შეჭირვებულებს დაურიგდათ ტკბილეული.

ქუჩაში ყოველდღე ვხვდებით მიტოვებულ ბავშვებს თუ ტკივილი-საგან დატანჯულ მოხუცებს, უმწიფო ადამიანებს – უსახსრობის გამო, ხშირ შემთხვევაში, სიკვდილთან პირისპირ დარჩენილებს...

საბედნიეროდ, მოყვასისთვის ხელის განოდების, დახმარების და თანადგომის სურვილი ქართველებისთვის არცთუ უცხოა...

ადამიანი ხომ, რეალურად, ბედნიერი მაშინ, როცა ირგვლივაც ბედნიერ და გახარებულ სახეებს ხედავს; თუნდაც ერთი ადამიანის თვალებში სიხარულსა თუ მადლიერების ნაპერწკლის დანახვაც მისთვის მნიშვნელოვანია...

საქველმოქმედო ღონისძიებებიც, უპირველესად, საკუთარი თავის აღმოჩენაში გვეხმარება. თუკი გვესმის, რომ ქველმოქმედებაში არა მხოლოდ ადამიანებისადმი სოლიდარობა, არამედ მოქალაქეობრივი თვითშეგნება, სამოქალაქო აქტიურობა, პრობლემების შეცნობისა და გადაჭრის უნარი მოიპოვება, შეგვიძლია თავი იმ ჯანსაღ საზოგადოებას მივაკუთვნოთ, რომელიც სიკეთეს არა პირისთვის, საკუთარი თავის წარმოსა-

ტომბერს, თვითმმართველობის ორგანიზებით მოეწყო საქველმოქმედო მსვლელობა-აქცია – „სიკეთე გადამდებია“, რომელიც მოიცავდა ორ ღონისძიებას: სპეციალურად ამ დღისთვის შეგროვილი ტანსაცმელი გადაეცა ნორიოს ბავშვთა სახლს; გაიმართა მსვლელობა რუსთაველის გამზირზე, სადაც შეჭირვებულებს დაურიგდათ ტკბილეული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრები მომავალშიც გეგმავენ მსგავსი სასიამოვნო აქციებისა და ღონისძიებების განხორციელებას. თვითმმართველობის ორგანიზებით გროვდება ტანსაცმელი, სათამაშოები, ჰიგიენის საშუალებები, საკვები პროდუქტები და სხვა სამომხმარებლო ნივთები, რათა ზამთრის ცივ დღეებში კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა იგრძნოს მხარდაჭერა...

თათია კაკულია,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის
პირველი სემესტრის სტუდენტი



მსოფლიოში ყოველ 20 წამში ქუჩის კიბოს დიაგნოზს სვამენ, ხოლო 75 წამში, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ქუჩის კიბო წამზომს აჩერებს... თუმცა დაავადების 10-დან 8 შემთხვევის თავიდან აცილება ადრეული სკრინინგითაა შესაძლებელი.

სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე ყველაზე გავრცელებულია ქალთა პოპულაციაში და სიხშირით მეორე ადგილზეა ფილტვის კიბოს შემდეგ. მას თავისუფლად შეგიძლია „მშვენიერი სექსის მკვლელი“ ვუნოდო. სტატისტიკური მონაცემებით მსოფლიოში სარძევე ჯირკვლის კიბოთი ავადდება ყოველი მეოთხედი ქალი, რომელთა ასაკი 13-დან 90 წლამდე მერყეობს. ავადობა სულ უფრო მატულობდა 1970-იანი წლებიდან, რაც უკავშირდება ქალების ცხოვრების წესის შეცვლას, შობადობის და ქუჩითი კვების პერიოდის შემცირებას...

ოქტომბერი ქუჩის კიბოსთან ბრძოლის თვედ არის გამოცხადებული მსოფლიოს მასშტაბით. უკვე რამდენიმე წელია „ვარდისფერი ოქტომბრის“ ეგიდით არაერთ ქვეყანაში სხვადასხვა სახის აქტივობები იმართება. ამ პერიოდში ვარდისფრად იღებება ან ნათდება შენობები, რასაც სიმბოლური დატვირთვა აქვს. ბუნებრივია, არც ჩვენს ქვეყანაში ჩაუვლია უხმაუროდ „ვარდისფერ ოქტომბერს“. უნივერ-

ვარდისფერი ოქტომბერი

სიტეტში შემოსვლისთანავე იგრძნობოდა უჩვეულო გარემო, რომელსაც ვარდისფერ მისურებში შემოსილი ახალგაზრდები ქმნიდნენ. უყურადღებოდ არ ჩაუვლია „პერას“ პრეზიდენტის, ანა მახანაშვილის, გამოფენას. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული ქუჩის კიბოთი დაავადებული ქალები დაავადებასთან ბრძოლას სხვადასხვა გზით ცდილობენ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები დიდი ერთობაშიაში ემზადებოდნენ ფლეშმობისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამინდმა ამის საშუალება არ მოგვცა. ბიბლიოთეკის ცისფერ დარბაზში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე – „ქუჩის კიბოს დიაგნოზის და მკურნალობა“, რომელიც ნაიკითხა თსუ-ის ვიცე-რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი კობრიძემ. დარწმუნებული ვარ, თითოეულსთვის დასამახსოვრებელი იყო მისი სიტყვები: „ქუჩის კიბო არ არის განაჩენი, ეს არის დიაგნოზი, რომელზე გამარჯვებასაც სჭირდება ბრძოლა“. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო საზოგადოების გაათვითცნობიერება ქუჩის კიბოს რისკების შესახებ, რეგულარული თვითშეამოწმების და კიბოს სკრინინგის აუცილებლობაზე ყურადღების გაახვილება.

დღის დასასრულს ღონისძიების მონაწილეები და საპატიო სტუმრები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წითელ დარბაზში შეიკრიბნენ. შედგა კლიპის „Cancer“ (Stromae – quand c'est?) პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნი-

ვერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია; ვიცე-რექტორები: პროფესორი ხათუნა თოდაძე, პროფესორი ირმა ბერიძე და ასოცირებული პროფესორი ირაკლი კობრიძე; თსუ-ის ონკოლოგიისა და ქემატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ონკოპრევენციის ცენტრის დირექტორი, პროფესორი რემა ლვამიჩავა; ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, სოლიდარობის ფონდის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, მარიამ ჯაში; „ევროპა დონას“ საქართველოს პრეზიდენტი ანა მახანაშვილი და წევრი თამარ ნიშნაიანი. დარბაზში იმყოფებოდნენ ქუჩის კიბოზე გამარჯვებული პაციენტები, მათ შორის, მამოლოვ ირაკლი კობრიძის ყოფილი პაციენტებიც; ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები.

ემოციურად დაძაბული გამოსვლების შემდეგ სიმღერები შეასრულეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტმა ნუცა ბურჯანაძემ და ფარმაციის ფაკულტეტის პირველი სემესტრის სტუდენტმა ზურაბ ზივზივამ.

კონცერტი დაასრულა ცნობილმა მომღერალმა დათო ხუჯაძემ, რომელიც სრულიად უანგაროდ დადგა მათ გვერდით, ვინც აპირებს გაერთიანდეს ქუჩის კიბოსთან საბრძოლველად. „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში, 28 ოქტომბერს, უკვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში, მოეწყო უფასო გასინჯვის აქცია.

ნათია შაყლაშვილი,
ჯანდაცვის ფაკულტეტის II
სემესტრის სტუდენტი

„Halloween“-ის დღესასწაული

31 ოქტომბერს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით მოეწყო კიდევ ერთი კრეატიული საღამო – „Halloween“. წვეულებას ჩვენი სტუდენტები დიდი ხანია ელოდნენ. საღამო გაიმართა რესტორან „ავალონი“-ს, რომელიც თემატურად იყო გაფორმებული. სპეციალური „dress code“-ის მიხედვით სტუმრები სხვადასხვა ფორმაში უნდა გამოწყობილიყვნენ, რაც ითვალისწინებდა „Halloween“-ის შესაბამის სამოსს, აქსესუარებს, ნიღბს, მონატურ სხეულს... სასურველი იყო, ასევე, სამედიცინო თემატიკის შესატყვისი სიმბოლური ნივთი ან სამოსი. სტუდენტები ამ ინიციატივას დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით შეხვდნენ და საკმაოდ კრეატიული და განსხვავებული გარეგნობით წარდგნენ საღამოზე, სადაც მათ დახვდათ პროფესიონალი მხატვრები, რომლებიც მზად იყვნენ, სტუდენტების გარეგნობა

სპეციფიკური შტრიხებით გაემდიდრებინათ. სტუმრებს გაუმასპინძლდნენ შესაბამისად გაფორმებული ფორმებით, რამაც დიდი მონონება დაიმსახურა. წვეულებას უძღვებოდნენ მარიამ თევზაძე და ავთანდილ სხიდაშვილი, რომლებმაც ბევრი თამაში, ნომინაცია და სიურპრიზი შემოგვთავაზეს. დასას-




ხელდა საღამოს „ყველაზე კრეატიული სტუმარი“, „მის და მისტერ Halloween“. წვეულებზე იმყოფებოდა ორი იუბილარი, რომლებსაც სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. საღამოს მუსიკალურად აფორმებდა გიორგი თოდაძე, ხოლო დასასრულს იმღერა თსუ-ის სტუდენტმა ჭოლა ჭოლაძემ. მათ ეს დღე ნამდვილად დაუვიწყარი გახადეს.

სტუდენტები აღფრთოვანებულნი დარჩნენ საღამოს მოწყობის ნოვატორული იდეით და აღნიშნავენ, რომ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ამ საღამომ ყველა სტუმარზე განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა. მათი თქმით, სწორედ ასეთი ღონისძიებები სძენს დაუვიწყარ ელფერს სტუდენტობის წლებს.

მარიამ ბაიკაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
V სემესტრის სტუდენტი

Medical Newspaper
Tbilisi State Medical University Publishing since 1957 №9 (297) November, 2016
Life As An International Student In TSMU



When we leave behind our homes to pursue our dreams, we leave a lot behind. We rearrange our priorities to fit into a new life, a new place, a new environment. As imperfect souls we go to college to try and find a way to mold our personalities into something that we can put into society to do some good. When we chose medicine, we didn't merely choose medicine alone; we chose a whole new life to lead. When we chose TSMU we didn't merely choose a university; we chose our future.

At TSMU, we are exposed to a diverse student population, and for most of us who grew up in our home countries, we were meeting people of a lot of different nationalities for the first time. We were welcomed with warm open arms even though the winds were cold and the architecture was new to us. We were introduced to a lot of new subjects and departments and as afraid as we always are to have a go at something new, we were excited too. TSMU helped us and continues to help us to be as excited as we were on our first day in Tbilisi.

Life as an international student in TSMU has been an eye-opening experience. In an environment so different from the warm, sunny days back at home, away from our familiar languages, we were afraid of not getting along well but on more

occasions than we might have thought, we found ourselves mingling with the locals and other international students quite casually. With an environment quite this friendly it's a little difficult to feel as though we are all that far from home, and this brought us all to realize that we had also found a place in our hearts for Tbilisi, and for TSMU. The Dean is always very approachable and makes our study at TSMU a smooth one, helping us with all the difficulties we may face. The teachers and professors do their best for us to have the best education we can get, and the seniors are always present to make things easier for us and for moral support. Even though the international student population is quite small compared to the university's population we are given the opportunities and priority to have a well rounded education.

In TSMU we don't just learn our subjects and walk past it. Instead we learn a lot about keeping that knowledge with us and along with our colleagues, we have learnt a lot about the Georgian culture as well as the cultures of many countries. These too we will carry with us into the future as we transform from the immature selves we were into personalities of value and respect. Life as an international student in TSMU is not something I would ever complain about; in a foreign country, I never thought I could feel quite as home as this.

Zulaiha Zuhair,
Faculty of Medicine
4th year

Pink October



October is Breast Cancer Awareness Month, which is an annual campaign to increase awareness of the disease. The event organised by Georgian IFMSA' Committee SCORA "i fight, i will win!" Was dedicated to "pink october" and held In Tbilisi state medical university's "blue hall" On 28th october, 2016 at 15:30 AM.

Conference was organised by SCORA members which are students of Tbilisi State Medical University. Our main purpose was to join "pink october", spread information in our society and to support those who fight fearlessly against cancer everyday. We referred to the evening as "i fight, i will win!" For supporting those who is already affected with the disease.

SCORAngels tried their best to create friendly and positive atmosphere by decorating confer-

ence hall all in pink. It was filled with pink balloons and every guest had pink ribbon which was given to them as they entered. As for SCORAngels themselves, we were dressed in t-shirts painted by our members Anuki Babalashvili and Sopho Gomiashvili. All the paintings were pink ribbon-themed and were endorsed by our guests. Also there were candles in memory of those who were taken away from us by cancer. On conference were invited guests from several organisations such as "National Screening Center", "Europe Dona Georgia", "Business against cancer". "Europe Dona Georgia" president met with us and offered cooperation in future projects.

As the conference started our members did their best and delivered speech with excellence. We spoke about the symbol of "pink october", sturcture of cancer, risk factors, statistics and importance of self-examination. Also we spoke about the women who defeated cancer.

After the conference was over, we asked our guests to draw their hands and put signatures on poster, as the symbol of helping hand. Feedback from guests were very positive and we plan to make more ivents like this in future.

Mariam Berikashvili,
Faculty Of Medicine, V Semester Student

გვერდი მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის V სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო ზივზივამ



იზამიური ინსულტის მკურნალობის ინოვაციური მეთოდი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში, პირველად საქართველოში, ჩატარდა იმემიური ინსულტის ინოვაციური მეთოდიტო მკურნალობა, რომელიც 2009 წლიდან დაიწყო აშშ-ში და შემდგომ - ევროპაშიც.



დღესდღეობით მთელ მსოფლიოში იმემიური ინსულტების მკურნალობა ხორციელდება ორი მეთოდით: თრომბოლიზით და თრომბის მექანიკური ექსტრაქციით (ინვაზიური მეთოდი), თუმცა საქართველოში აღნიშნული მეთოდები ჯერჯერობით დანერგული არ არის.

თრომბოლიზის დროს ხდება ქსოვილოვანი პლაზმინოგენის აქტივაციის ინტრავენური გადასახმა, რომლის დროსაც თრომბი იშლება, მაგრამ ამ მეთოდს აქვს ჰემორაგიის (სისხლდენა) ძალიან მაღალი რისკი. თუ ინსულტის განვითარებიდან მაქსიმუმ 6 საათში ვერ მოხერხდა მკურნალობის დაწყება და მკაცრად ვერ დავიცავით კრიტერიუმები, პაციენტი შეიძლება დაიღუპოს სისხლდენით. ამიტომ ევროპულ ქვეყნებში პაციენტების მხოლოდ 17% იმართება მსგავსი მეთოდით.

თრომბის მექანიკური ექსტრაქციის დროს სპეციალური მოწყობილობით - თრომბექსტრაქტორით (Device Mercy) შედიან თემოს არტერიიდან და აღწევენ თრომბოზის ადგილს. ამ დროს მექანიკურად ხდება თრომბის ექსტრაქცია. ასეთი მეთოდი ინვაზიურია და უნდა განხორციელდეს ექსპსაათიანი თერაპიული ფანჯრის ფარგლებში.

ნარმოვიდგენთ სრულიად ახალ მეთოდს, რომელიც გამორჩეულია თავისი უსაფრთხოებით და ველოში, სადაც მსგავსი მეთოდიტო მკურნალობა ჩატარდა. უკვე ოთხმა ინსულტინამა პაციენტმა გაიარა მკურნალობა, რომელიც წარმატებით დასრულდა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ მეთოდს გვერდითი მოვლენები პრაქტიკულად არ გააჩნია.

გვერდითი მოვლენები პრაქტიკულად არ გააჩნია.

მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: ხდება ფრთა-სასის კვანძის სტიმულაცია იმპლანტირებული ელექტროდის მეშვეობით, რომელიც აძლიერებს თავის ტვინში შემოვლითი გზების სისხლის მიმოქცევას და ინფარქტის უბანი და, ასევე, ნახევარწრილის რეგიონი სისხლდენებს კოლატერალი სისხლის მიმოქცევის მეშვეობით. თრომბის დაშლა ამ დროს საჭირო აღარ არის. მეთოდი გამოცდილია ამერიკასა და ევროპაში, შესანიშნავი შედეგები პაციენტებში, რომელთაც განსაკუთრებით გამოხატული აქვთ მეტყველების უნარი. ასევე, ძალიან სწრაფად ხდება პარალიზებული კიდურების აღდგენა. პაციენტებისთვის მეთოდი უმტკივნეულოა, ხორციელდება მინიმალური ინვაზია ელექტროდის ჩადგმის სახით (ელექტროდი მინიმალური ზომისაა), ხუთ დღეში კი ხდება ელექტროდის ამოღება.

თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ნევროლოგიის დეპარტამენტი პირველია საქართველოში, სადაც მსგავსი მეთოდიტო მკურნალობა ჩატარდა.

თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ნევროლოგიის დეპარტამენტი პირველია საქართველოში, სადაც მსგავსი მეთოდიტო მკურნალობა ჩატარდა.



თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ნევროლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი მაია პარიძე, ნეიროქირურგები: ლიპა სორბაძე, ივანე ავახაშვილი

ჩვილ ბავშვთა ჰემორაგიული შუშუპების (AHEI) იშვიათი კლინიკური შემთხვევა



პაციენტი ლ. 16 თვის შემოვიდა კლინიკაში ჩვილებით: ავადაა 2 დღეა, დაავადება დაიწყო ერთეული ჰემორაგიული გამონაყარი (მშობლის გადმოცემით, სისხლჩაქვებები ფეხებზე), 24 საათის მანძილზე გამონაყარმა მოიმატა - სხვადასხვა ზომის ექვიმოზები სხეულის ყველა

ფუნქციური სინჯები - ნორმის ფარგლებში, კოაგულაციური მონაცემები - ნორმის ფარგლებში, განავალი ფარულ სისხლდენაზე - ნეგატიური, სისხლდენის ხანგრძლივობა - 2'30წმ, Z71.9- ჰემატოლოგიის კონსულტაცია - რკინადეფიციტური ანემია. Fe



უბანზე, უფრო დიდი ინტენსივობით - ქვედა კიდურებზე; ანამნეზში: გადატანილი ზედა სასუნთქი გზების ინფექცია 3 კვირის წინ, ვაქცინაცია - 15 თვის ასაკში.

(6.55mmol/l). თრომბოციტების ფუნქციური კვლევით გამოვლინდა აგრეგაციული და ადჰეზიური თვისებების ზომიერი დაქვეითება.

შემოსვლისას - მრავლობითი ჰემორაგიული გამონაყარი სხეულზე, ორივე ტერფის დორზალური ნაწილის, კოჭ-წვივის შემუშება, ბავშვი ვერ მოძრაობს, ჭირვეულობს, აქვს ართრალგია (პასიური მოძრაობის დროს ძლიერი ტირილი); პერიორბიტალური შემუშება. ლორწოვანი გარსები სუფთა; ლაბორატორიული ინსტრუმენტული მონაცემები: მუცლის ღრუს ექოსკოპია პათოლოგიური ცვლილებების გარეშე, პერიფერიული სისხლის ანალიზი wbc-16, 9 band 5%, plt 400, esr 7 mm/hr. შარდის საერთო ანალიზი - პათოლოგიური ცვლილების გარეშე, ღვიძლის

შემოვარდული გამონაყარის და შემუშების თავისებურების გათვალისწინებით, კლინიკური მდგომარეობა შეფასდა როგორც ჩვილ ბავშვთა მწვავე ჰემორაგიული ედემა - Acute Hemorrhagic Edema of Infancy (AHEI). კონკრეტული პაციენტის მკურნალობის ფონზე მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა: კანი სუფთა, შემუშება არ აღინიშნება.

ჩვილ ბავშვთა მწვავე ჰემორაგიული ედემა არის თვითლიმიტირებადი, ვასკულიტი, რომელიც EULAR/PRINTO კლასიფიკაციით მიეკუთვნება ლეიკოციტოკლასტიური ვასკულიტების ჯგუფს. პირველად აღწერა Snow-მ, როგორც ჰე-

ნოს-შონლაინის დაავადების კანის ფორმა 1913 წელს. შემდეგ, 1936 წელს დაავადება აღწერა არგენტინაში F Del Carril, Diaz Sobillo, Vidal, Filkenstein-მა პირველად ეს დაავადება აღწერა ევროპაში 1938 წელს. დაავადების ზუსტი ეტიოლოგიური ფაქტორი უცნობი, თუმცა მიჩნეულია, რომ ის წარმოადგენს იმუნური კომპლექსებით განპირობებულ ჰემორაგიულ რეაქციას. AHEI-ის გამწვავებ, ტრიგერულ, ფაქტორებად მიჩნეულია: ვირუსული და ბაქტერიული ინფექციები, ვაქცინაცია, პენიცილინების რიგის ანტიბიოტიკები. ყველაზე ხშირა ბავშვებში 2-3 წლამდე ასაკში. შედარებით ხშირა ვაჟებში.

კლინიკური მიმდინარეობა: AHEI „დრამატულად“ სწრაფად ვითარდება 24-48 საათში. ძირითადი კლინიკური გამოვლინებები: კანზე ჰემორაგიული გამონაყარი (ექვიმოზები, პეტეჩიები, ანულარული), უპირატესად, კიდურებზე, თუმცა, შეიძლება, მოიცვას მთელი სხეული. შინაგანი ორგანოების მხრივ დაზიანებები (ართრიტი, აბდომინალგია, გასტროინტესტინალური ჰემორაგია და სხვა) იშვიათია. დაავადებას თან ახლავს ცხელებაც. ლაბორატორიული მონაცემებიდან: ლეიკოციტოზი, თრომბოციტოზი, ზომიერად მომატებული ღვიძლის ფუნქციური სინჯები, eds-ის და cfc მატება.

მკურნალობა: არ არსებობს AHEI-ის ფუნქციური მკურნალობის ერთი სქემა. კორტიკოსტეროიდები და ანტიჰისტამინები გამოიყენება, თუმცა არ არის ეფექტური. დაავადებას ახასიათებს თვითლიმიტირებადი მიმდინარეობა 1-3 კვირაში კლინიკური ნიშნების სრული აღადგენით.


გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. Fiore E, Ragazzi M, et . Acute hemorrhagic edema of young children (cockade purpura and edema): a case series and systematic review. J Am Acad Dermatol. 2008;59(4):684-695
2. Fotis L, Nikorelou S, Stamoyannou L Acute hemorrhagic edema of infancy: a frightening but benign disease. Clin Pediatr (Phila). 2012;51(4):391-393
3. Karremann M, Jordan AJ, Acute hemorrhagic edema of infancy: report of 4 cases and review of the current literature. Clin Pediatr (Phila). 2009;48(3):323-326

თინათინ კუტუპიძე, თსუ-ის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის მიმართულება. თბილისის სახელმწიფო სა-მედიცინო უნივერსიტეტის გივი ჭვანინას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა

სიხე-ე აყხიოვში

3D იმპლანტმა 7 წლის ბიჭი ცხოვრებას დაუბრუნა




2014 წელს ხუთი წლის ტედი უარდი (Teddy Ward) სეირნობისას დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდა და მძიმე ტრავმა მიიღო: თავის ქალის მარცხენა ნახევარსფეროს ძვლები სრულიად დაეფუშა. ბავშვი ცოცხალი გადარჩა, მაგრამ თავის ქალის

ძვლების ჩანაცვლების ოპერაცია ვერ განხორციელდა. მისმა ექიმმა მარკ ურატამ (Mark Uratta) CBS Los-Angeles-ს განუცხადა, რომ თავის ქალის ჩონჩხის 50% აღდგენას არ ექვემდებარებოდა. ექიმმა ჩაატარა ოპერაცია, რომელიც უშედეგო აღ-

მოჩნდა. ტედი განერეს შინ და გააფრთხილეს, რომ ყველგან, განსაკუთრებით კი სახლიდან გასვლის შემთხვევაში, ჩაფხუტით უნდა ევლო. ასეთი ტრავმის ფონზე, ტედისთან ურთიერთობა უაღრესად საფრთხილო იყო, მისი მეგობრების მშობლები ერიდებოდნენ, თავის თავზე აეღოთ ბავშვის უსაფრთხოება და სტუმრად მიეწვიათ ის. ამ სიტუაციაში ტედის აღარავინ ეთამაშებოდა, არც დაბადების დღეებზე იწვევდნენ.

ტედი უარდის მძიმე პრობლემის გადაჭრა ლოს-ანჯელესის ბავშვთა ჰოსპიტალში შეძლეს, სადაც ინოვაციურმა ქირურგიულმა მეთოდმა ბავშვს ცხოვრების ჩვეული რიტმი დაუბრუნა. გასულ თვეს პირველად მიიღეს თავის ქალის ჩონჩხის 3D იმპლანტი, რომელიც იდეალურად ერგებოდა რეალური თავის ქალის ჩონჩხის სტრუქტურას. ეს არ იყო ჩვეულებრივი პლასტიკა, დამზადებული იყო ნივთიერებისგან

PolyEtherEtherKetone (PEEK), რაც უდიდეს საშუალებას იძლევა. ამ ნივთიერებას აქვს ისეთივე ფიზიოლოგიური თვისებები, რაც რეალურ ჩონჩხს. ოპერაცია წარმატებულად დამთავრდა და ტედი დაუბრუნდა ჩვეულებრივი ბავშვის ყოფას: თამაშობს, დადის სტუმრად, სწავლობს... ერთადერთი, რაც ეკრძალება, ფეხბურთზე სიარულია.



http://www.cbsnews.com/news/3d-printed-skull-implant-surgery-california-boy-teddy-ward/



კვლევები დიაბეტიანი ორსულების ჯანსაღობისთვის



დიაბეტით მოავადე ორსულ ქალებში ხშირია სპონტანური აბორტების შემთხვევები, დარღვეულია მათი ნორმალური განვითარება და მათთვის განვითარების თანდაყოლილი ანომალიების რაოდენობა აღემატება ნორმალურს. არ არის ცნობილი მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ასეთ დარღვევებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფი, ახალგაზრდა მეცნიერის, მაკა გონგაძის, ხელმძღვანელობით, სწავლობს დიაბეტის გავლენას ორსულობის გამოსავალზე. ისინი იკვლევენ მექანიზმებს და ექმენ საავალი გამოსავლის კორექტირების გზებს. გვერდებზე მაკა გონგაძეს, რომელმაც სიახლოვებით ისაუბრა უახლესი კვლევების შესახებ.

როდეს დაიწყეთ ინსტიტუტი მუშაობა?

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა მაიტირებდა. აუცილებლად მინდა აღვნიშნო იმ პროფესიონალური გუნდის შესახებ, რომელიც მუშაობს ჩვენს ინსტიტუტში. ეს გამოცდილი და საქმის მცოდნე ხალხია; ინსტიტუტის ბაზაზე ტრენინგები უამრავი კვლევა, რომელიც ფინანსდება სხვადასხვა ფონდიდან და მოიცავს იმუნოლოგიის და თანამედროვე მედიცინის უამრავ პრობლემას.

რამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება ამ თემატიკით?

სადისერტიკო თემაზე მუშაობის პროცესში, სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თინათინ ჩიქოვანის, ხელმძღვანელობით, INTAS-ის ფონდში წარდგენილი გრანტი დაფინანსდა და ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაემგზავრე ჩემი თანაგუნდის უნივერსიტეტის საკლერის სამედიცინო სკოლაში, სადაც მუშაობდა ჩვენი ინსტიტუტის ამჟამინდელი დირექტორი, პროფესორი ია ფანცულაია. სწორედ მისი რეკომენდაციით, მოხვდი ემბრიოლოგიისა და ტერატოლოგიის განყოფილებაში და მომიხდა მუშაობა მეცნიერებთან – არკადი ტორჩინსკისთან და ვლადიმერ ტოდერთან. სხვა კვლევების პარალელურად, ისინი სწავლობდნენ ორსულობის გამოსავალზე დიაბეტის გავლენას. სწორედ მათ დავეინტერესე ამ საკითხებით და ჩავერთე მათ კვლევებში, სამომავლოდ კი მიზნად დავისახე, გამეგრძელებინა კვლევები ამ მიმართულებით და გამეღრმავებინა ცოდნა. გერმანიაში, იენაში, ფრიდრიხ ში-

ლერის უნივერსიტეტის პლაცენტას ლაბორატორიაში, რემოდუქციული იმუნოლოგიის კუთხით შევისწავლე დიაბეტის გავლენა ორსულობის გამოსავალზე და ავითვისე თანამედროვე იმუნოლოგიური მეთოდები, რომელსაც გამოიყენებდნენ ევროპის მონივრულ ლაბორატორიებში. **sesf**-ის მიერ დაფინანსდა პროექტი (№ GNSF/ST08/2-377) – „ინტერლეიკინ – 10-ის როლი დიაბეტის ფონზე მიმდინარე ორსულობის გამოსავალში“. ამავე დროს, მინდა აღვნიშნო, რომ ეს კვლევები, თავის მხრივ, იყო უნიკალური და კომპლექსური, მოიცავდა როგორც დიაბეტის ინ ვივო, ასევე, ინ ვიტრო მოდელებზე ჩატარებულ ცდებს. ამ კვლევების ჩასატარებლად ჯეკსონის ლაბორატორიიდან შეიძინეს ნოკაუტი თავგები, რომელთა გასამრავლებლად ჩვენს ვივარუში სპეციალური პირობები შეიქმნა. ეს კვლევები, თავის მხრივ, გახლდათ პირველი და მასშტაბური ამ მიმართულებით. მიმდინარე კვლევების განსახორციელებლად მოვიპოვე დაფინანსება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან (№FR/330/7-160/14) თემაზე – „IL1-sa da TNF alpha-ს როლი დიაბეტით გამოწვეული სპონტანური აბორტების პათოგენეზში“. კვლევები ახლაც გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ვერ მოხერხდა რაიმე სპეციალური ტრანსგენული, ან ნოკაუტი ხაზის თავგების შექმნა, მიღებული გვაქვს საინტერესო შედეგები, რომელიც დიდ პერსპექტივებს გვაპირდება.

გარდა ამისა, 2015 წლიდან დაიწყო სამეცნიერო კვლევების დაფინანსება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ამ პროგრამის ფარგლებში, ჩვენ მიერ ხდება საკვები მცენარეული პროდუქტებიდან მიღებული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ემბრიოპროტექტორული თვისებების შესწავლა დიაბეტის ტერატოგენულ ზემოქმედებაზე. ეს კვლევებიც ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანია, ვინაიდან შესაძლებელია ისეთი საკვები დანამატების მიღება, რომლებსაც ექნებათ პროფილაქტიკური მოქმედება, ან ნაწილობრივ მაინც დაიცავდნენ დიაბეტით მოავადე ორსულ ქალებს სავალალო გამოსავლისგან.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს სამედიცინო უნივერსიტეტისა და ჩვენი ინსტიტუტის ადმინისტრაციული აპარატის დიდი მხარდაჭერის და ხელშეწყობის შესახებ ახალგაზრდები-სათვის სამეცნიერო კვლევების წარმართვის ორგანიზაციის საქმეში.

გვიამბეთ თქვენ მიერ ჩატარებულ კვლევებსა და მიღებულ შედეგებს.

გეზე, სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებს.

მიმდინარე კვლევა მთლიანად ეყრდნობა ჩვენივე კვლევის შედეგებს და წარმოადგენს მის ლოგიკურ გაგრძელებას. რა როლს ასრულებს **IL10** საშვილოსნოში დიაბეტით გამოწვეული ორსულობის გამოსავალში – ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩაატარეთ კვლევა, რათა შეგვეფასებინა ინტერლეიკინ-10-ის როლი დიაბეტის ფონზე მიმდინარე ორსულობის გამოსავალში. ეს იყო ექსპერიმენტული კვლევა **IL-10/-** და **IL-10+/-** თავგებში, სტრატეგობრივად გამოიყენებული დიაბეტის მოდელზე. კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ:

1) დიაბეტთან ინტერლეიკინ 10-ით ნოკაუტირებულ თავგებში ორსულობის სიხშირე გაცილებით დაბალია, ვიდრე დიაბეტთან საკონტროლო თავგებში;

2) ორსულობის სიხშირის ასეთი კლება განპირობებულია პერიმპლანტაციურ სტადიაზე ემბრიონთა ტოტალური სიკვდილობით ორსულობის 5-8 დღის ვადაზე და

3) შაქრიანი დიაბეტის დროს ბლასტოციტები ორივე, როგორც ნოკაუტირებულ, ასევე, საკონტროლო თავგებში დაიბადებინა ნორმალური და ორსულობის შეწყვეტას წარუმატებელი იმპლანტაცია განაპირობებს.

უჯრედულ და მოლეკულურ დონეზე მიმდინარე პროცესები, რასაც მივყავართ წარმატებულ იმპლანტაციამდე მოითხოვს, საშვილოსნოს ენდომეტრიუმის მოზადებას. ეს პროცესები მოიცავს ციტოკინებისა და ზრდის ფაქტორების განსხვავებულ აქტივობას, ლეიკოციტების მოდიფიცირებულ პოპულაციასა და ფუნქციონირებას. დიაბეტური გარემო ცვლის საშვილოსნოს უნარს, აწარმოოს მედიატორები, რომლებიც მნიშვნელოვანია იმპლანტაციისთვის. თავგებში დიაბეტის იწვევს აზოტოქსიკის და **TNF-α**-ს წარმოების ზრდას, ხოლო ინტერლეიკინ 10-ის არქონა უფრო მეტად ამძიმებს მდგომარეობას. დიაბეტთან ნოკაუტი თავგების საშვილოსნოს მასის სიმცირეს განაპირობებს ჭარბი აპოპტოზი და დათრგუნული პროლიფერაცია ხანგრძლივი ანთების ფონზე. ნორმალური ორსულობის მე-4 დღეზე იზრდება **MMP-9**-ის ექსპრესია, ხოლო დიაბეტის დროს აღინიშნება მისი შემცირება **IL-10+/-** თავგებში; ნოკაუტი თავგებში დიაბეტის ფონზე ეს შემცირება არ გამოვლინდა, პირაქით, ამ პროტინაზას წარმოება კიდევ უფრო გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვსწავლობდით ამ ფერმენტის წარმოებას და არა მის აქტივობას; შესაძლოა, აქტივობა მცირდება კიდევ. ჩვენმა კვლევებმა აჩვენა, რომ შაქრიანი დიაბეტის დროს **TNF-α**-ს წარმოება იზრდება, როგორც ინ ვიტრო, ასევე, ინ ვივო და ეს ციტოკინი იწვევს ტროფობლასტების ფუნქციური აქტივობის დარღვევას, აქვეითებს უჯრედთა პროლიფერაციის, ინვაზიის და მიგრაციის უნარს. შესაძლოა სწორედ ეს მექანიზმი უდევს საფუძვლად ორსულობის შეწყვეტას დიაბეტის დროს. კვლევებმა, ასევე, აჩვენა, რომ **IL-10**

წართულია ინვაზიისა და პროლიფერაციის პროცესის რეგულირებაში. იგი გლუკოზის მაღალი კონცენტრაციით გამოწვეულ პროცესებს არეგულირებს და ზრდის უჯრედების გამძლეობას. ინტერლეიკინ 10 სიმსივნის ნეკროზატორ ალფას აუტოკრინული ინჰიბიტორია, შესაძლოა, სწორედ ეს უდევს საფუძვლად მის დაცვით ზემოქმედებას, რათა წარმატებულად განხორციელდეს იმპლანტაცია. ჩვენი კვლევებისა და ლიტერატურული მონაცემების შეჯამების საფუძველზე დაისახა ახალი მიზანი: თუ მოხდება ინტერლეიკინ-10-ის წარმოების აღდგენა და **TNF-α**-ს სინთეზის ინჰიბირება, მოხერხდება კი ორსულობის დიაბეტით გამოწვეული სავალალო შედეგების თავიდან აცილება? შესაძლებელი იქნება თუ არა ამ ორი

ციტოკინის კონტროლირებით სრულად ან ნაწილობრივ მაინც გაკონტროლდეს პათოლოგიური პროცესი და აღდგეს იმპლანტაციის პროცესი. გაირკვეს თუ რა როლს შეასრულებს ამ შემთხვევაში წარმატებული იმპლანტაციისთვის მნიშვნელოვანი მოლეკულები, როგორცაა – **LIF**, **MMP-9**, **NO**. ამ კვლევების ნაწილი უკვე ჩატარებულია და მიღებულია საინტერესო შედეგები. კლინიკური კვლევების ჩატარებამდე კიდევ აუცილებელია კონკრეტული მოქმედების მექანიზმების დადგენა, მაგალითად, სხვადასხვა ტრანსკრიფციულ ფაქტორზე (**STAT-3**, **NFκappaB**) ზემოქმედება და ა.შ., რაც სამომავლო კვლევების საგანია, მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი კლინიკური გამოცდისათვის რეკომენდაციის გაწევა.

დიაბეტის მსოფლიო დღე თსუ-ის ფვანის სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ფვანის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკაში, დიაბეტის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, განსაკუთრებული ღონისძიებები მოეწყო: დიაბეტთან ბავშვებსა და მათ მშობლებს შეხვედნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსმა, მარინა დარახველიძემ.

ბასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსმა, მარინა დარახველიძემ.

შეხვედრის დასასრულს, ენდოკრინოლოგმა ეკატერინე ფაცაციაშვილმა გამოავლინა ყველაზე მონესრევილი პაციენტი, ვისაც სისხლში გლუკოზის ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა. მას გადაეცა სპეციალური პრიზი და საჩუქრები.

საუბრები, მათ შორის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი სამაგიერო ნივთი დიაბეტის მართვის შესახებ, ყველა დიაბეტთან ბავშვმა მიიღო. კმაყოფილებით იყვნენ პაციენტებიც, რომლებიც უფასო გასინჯეს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი მარინა დარახველიძე; საქართველოს დიაბეტის ცენტრის დირექტორი, პროფესორი რამაზ ყურაშვილი; თსუ-ის გივი ფვანის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ლია ძიძიგური; ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი მარინა გორდელაძე; ასევე მოსკოვის ენდოკრინოლოგიის საერთაშორისო ცენტრის ენდოკრინოლოგები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ტამარა კურაგვა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლუბოვ ზილბერმანი.

შეხვედრის დასასრულს, გივი ფვანის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის დირექტორმა, ასოცირებული პროფესორმა ლია ძიძიგურმა აღნიშნა, ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მარინა დარახველიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც პაციენტები ტოვებენ სამასობაში ნივთში. ეს არის ძალიან თბილი, მადლიერებით სავსე სიტყვები, რაც ყველაზე დიდი საჩუქარია ექიმებისთვის. ქალბატონმა ლიამ აუდიტორიას აუხსნა, რომ მუდმივად ზრუნავენ იმისთვის, რომ მომსახურება უფრო და უფრო კომფორტული გახდეს. მაღალკვალიფიციური ექიმები კი მკურნალობის მაღალი დონის გარანტები არიან.

მიუხედავად სადღესასწაულო და ბავშვების გართობისთვის შესაფერისი გარემოს, შეხვედრამ საქმიანად ჩაიარა. მშობლებს საშუალება ჰქონდათ დიაბეტის დროს **TNF-α**-ს წარმოება იზრდება, როგორც ინ ვიტრო, ასევე, ინ ვივო და ეს ციტოკინი იწვევს ტროფობლასტების ფუნქციური აქტივობის დარღვევას, აქვეითებს უჯრედთა პროლიფერაციის, ინვაზიის და მიგრაციის უნარს. შესაძლოა სწორედ ეს მექანიზმი უდევს საფუძვლად ორსულობის შეწყვეტას დიაბეტის დროს. კვლევებმა, ასევე, აჩვენა, რომ **IL-10**

შეხვედრის დასასრულს, ენდოკრინოლოგმა ეკატერინე ფაცაციაშვილმა გამოავლინა ყველაზე მონესრევილი პაციენტი, ვისაც სისხლში გლუკოზის ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა. მას გადაეცა სპეციალური პრიზი და საჩუქრები.

სიხვედრის აქტივობაში დიდ პრიტანეთში პაციენტს ორივე ხელის მტკიანი გადაუნერგვა



პროფესორი საიმონ კეი პაციენტთან ერთად

სამი წლის წინ კრისტ კინგმა ავარიის შედეგად ორივე ხელის კიდური დაკარგა. თითოეულ ხელზე დარჩა მხოლოდ დიდი თითები.

ბრიტანელმა ექიმებმა საიმონ კეის (Simon Kay) ხელმძღვანელობით, მას ორივე ხელის მტკიან ღონის მტკივნეული გადაუნერგეს. კრისტ კინგი იყო პირველი ბრიტანელი პაციენტი, რომელსაც ამგვარი ტრანსპლანტაცია ჩაუტარდა.

საიმონ კეიმ აღნიშნა, რომ ასეთი ოპერაცია განსხვავდება შინაგანი ორგანოების ტრანსპლანტაციისგან: უნდა შეიჩრქოს დონორის ხელის მტკივნეული, რომელიც პაციენტს მიეცემა არა მარტო იმუნოლოგიური თვალსაზრისით, არამედ – კანის ფერითაც. გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვაც...

და გახარებულია, რომ ორივე ხელი დაიბრუნა. ოპერაცია ახლახან ჩატარდა და პაციენტი ელოდება სახვევების მოხსნას, რომ შეძლოს დამოუკიდებლად პერანგის ჩაცმა და ველოსიპედით სეირნობა.


პაციენტის ენთუზიაზმის და ექიმების კმაყოფილების მიუხედავად, სრულ გამოჯანმრთელებაზე საუბარი ჯერ ნადრევი, რადგან მთელი ცხოვრების მანძილზე კრისტმა იმუნოსუპრესანტები უნდა მიიღოს, რომელიც აუცილებელია დონორის ხელის მტკივნეულის შეუთავსებლობის თავიდან ასაცილებლად.

პაციენტს მოუწევს რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღე, განსაზღვრული საათების განმავლობაში, ფიზიოთერაპიული ვარჯიშების შესრულება, ამის შემდეგ გადანივრებული ხელის მტკივნეული თავის ფუნქციას შეასრულებს.

<http://www.bbc.com/news/health-36858169>



კანის უჯრედებისგან სისხლის უჯრედების მიღება შეიძლება



სინგაპურში მეცნიერებმა კანის უჯრედებისგან სისხლის უჯრედების მიღება შეძლეს. ამის შესახებ ინფორმაცია სინგაპურის მეცნიერების, ტექნოლოგიისა და კვლევის სააგენტომ გაავრცელა (**A*STAR**). ექსპერიმენტი მღრღნელებზე ჩატარდა. ამ გზით შექმნილი სისხლი მათ ორგანიზმში თევების განმავლობაში ცირკულირებდა. თუ ადრე ახლადმიღებული სისხლის უჯრედების სიცოცხლის ხანგრძლივობა ორ კვირას არ აღემატებოდა, ამჟამად დრო გაიზარდა. მომავალში ექსპერიმენტები ადამიანის კანის უჯრედებით ჩატარდება. როგორც მკვლევარმა ჩენგ ჰუიმ

(Cheng Hui) განაცხადა, ეს ძალიან დაეხმარება იმუნური დაავადებების მკურნალებს. ამის შესახებ და მათ, ვისაც სისხლის გადასხმა სჭირდებათ.

საყურადღებოა, რომ ეს არ არის პირველი ექსპერიმენტი კანის უჯრედების გარდაქმნაზე, იაპონიაში უკვე ჩატარებულია ვირთავის კანის უჯრედების კვერცხუვრედის უჯრედებად გარდაქმნის ექსპერიმენტი, რაც წარმატებით დასრულდა. კვლევებს ხელმძღვანელობდა კაცუშიკო ჰაიაში (Katsuhiko Hayashi).

<http://medicalxpress.com/news/2016-11-scientists-successfully-blood-skin-cells.html>

ტყეა ყველაფერი ატოვებს



ვანო ვაჭაბაძის სსიფონი

თანამდებობა გვექნებოდა, თითონ კი თავი დიქტატორად გამოაცხადა...

...ვანო ყოველთვის ღლინებდა, თითქმის ყველა ქალაქური სიმღერის ტექსტი ზეპირად იცის. ხშირად დაფაზე გვინერს ხოლმე და აღფრთოვანებული შემოგვცქერის. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ყველა ჯგუფის მამის სახელი იცის და ასევე მოგვამართავს კიდევ...

...ვანოს საი-ზიტო ბარათი „დაკუჭული ხალათია“, რაზეც ყოველთვის დავცინით, ხშირად ვთხოვთ, გააუთოოს, მაგრამ – უმედეგოდ.

„კ ვ ა ტ ე ბ ი ს“
ჯგუფი კარგი კულინარიცაა და ჭამა უყვარს. მისი საფორმო კერძი „მოხარული ხაჭაპური“... ერთხელ ბლინებიც გააკეთა და ძალიან უხაროდა. კარგი კულინარია ვანოს აღნაგობასაც დავცინო, დროთა განმავლობაში საგრძობად მიიმატა, რაზეც ხშირად ვხუმრობდით. ყოველ რეპლიკაზე – „როგორ გასუქებულხარ“, ერთი და იმავე პასუხს ვიღებდით – „ზედ ვარჯის ვინყვებ და დავიკლებ“.

მაგრამ კულინარია სულაც არ არის მისი ერთადერთი ძლიერი მხარე. ვანო კარგად ერკვევა თანამედროვე ტექნოლოგიებში, კინემატოგრაფიაში, ნარმატივულად მონაწილეობს ინტელექტუალურ თამაშებში, თუმცა, მისი მთავარი ინტერესის სფერო მაინც მედიცინაა. მოუხედავად დროის სიმცირისა, მაინც ხშირად დადის კლინიკაში პრაქტიკული ცოდნის მოსაღებად, რადგან მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე რთული მიმართულება – ნეიროქირურგია – დასაუფლებლად ემზადება. ვანო უნივერსიტეტშიც განსაკუთრებულია, საკმაოდ კარგად სწავლობს, მაგრამ გამოჩნეულა იმ საგნებს უფლება, რომელიც ძალიან უყვარს. არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰისტოლოგიის დეპარტამენტთან, სადაც მან საუკეთესოდ წარადგინა პროექტი და ძალიან გაახარა ლექტორის ნათქვამმა, რომ ის ძალიან კარგი ბიჭია. გავსხოვს, რა ამავი და ბედნიერი იყო ამ დროს ვანო. ჰისტოლოგიის საგნის პედაგოგი, ქალბატონი მიაა გაგუა, ამბობს: „ძალიან მიი-მეა და ძნელად წარმოსადგენი, როცა შენი სტუდენტი ცხოვრებიდან მიდის. ეს იყო პირველი და, იმედი მაქვს, – ბოლო შემთხვევა, ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში. ვანო კარგი სტუდენტი, არა მარტო იმის გამო იყო, რომ კარგად სწავლობდა, არამედ ის იყო ძალიან პოზიტიური, ხალისიანი, სხარტი გონების ახალგაზრდა. მე ის ყოველთვის მემხსსოვრება, როგორც ნიჭიერი და ღმილიანი“.

...ყოველ დასასრულს დასაწყისი მოჰყვება, ყოველ დასაწყისს კი დასასრული ცვლის. ამქვეყნიური სიცოცხლე სრულდება, მაგრამ აუცილებლად იწყება როგორც ახალი...

ცხოვრება ეტაპებისგან შედგება. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს. ვინცერთ უმარტივესიდან და თანდათან ვართულებთ. წესისამებრ, ეტაპები ნელ-ნელა იცვლება – საკმაოდ ადაპტირებულია კი სამყაროში, გვინერს საბავშვო ბაღში წასვლა, ბაღს სკოლა ცვლის, სკოლას – უნივერსიტეტი, უნივერსიტეტს – რაღაც ახალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ წესები ირღვევა და ჩვენც იძულებულნი ვართ, აქ შევიჩერდეთ...

უნივერსიტეტის პირველი დღე – დღე, როდესაც ყველაზე ახლოს ხარ მიზანთან, დღე, როდესაც ყველაფერზე ოცნებობ, ბედნიერების ქაოსში ხარ გახვეული, გინდა, ყველა გაეცნოს, მოუყვე შენ შესახებ, გინდა, ყველა შენი მეგობარი გახდეს... სწავლის პირველ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფის შექმნაა. შემთხვევით, სრულიად დაუგეგმავად ვიკრიბებით, ვნერვიულობთ – შეიძლება ან გაგამართლოს, ან – არა. ჩვენ კი, მე-5 ჯგუფი, ამ მხრივ, ილბლიანებად ვთვლით თავს – შევიკრიბეთ გუნდი, რომელიც თანდათან პატარა ოჯახად იქცა. წესისამებრ, გუნდს ლიდერი სჭირდება, ჩვენს გუნდს კი უკვე ერთი შეუცვლელი და ღირსეული ლიდერი ჰყავს, მას „კვატების“ ჯგუფი უწოდებენ, „საბუბაქი ვანო“ ჰქვია („საბუბაქი“ თავად უწოდა თავის თავს, ჩვენ კი ავიტაცეთ და მას შემდეგ ასე მივმართავთ).

თავიდან რთულია უცხო ადამიანების გარემოში ყოფნა, არსებობს რაღაც ბარიერი. ჩვენს შემთხვევაშიც ასე იყო, მაგრამ ბარიერი მალევე დაინგრა და დაიწყო ის ბედნიერი ერთი წელი, რომელიც ვიცით, რომ არასდროს და ვერასდროს განმეორდება...

...გვინდა მოგიხროთ ადამიანზე, რომელიც ჩვენთვის სამაგალითია. ჩვენი ვანო განსაკუთრებულია. მას საოცრად კეთილი თვალები აქვს. პირველივე დღეს, რაც მასში შევამჩნიეთ, მისი სიკეთით მოციმციმე თვალები იყო. ერთი შეხედვით, თითქოს სერიოზული ბიჭია, არანაირი „სიცინი“ მასში არ არის, მაგრამ რეალობა სულ სხვანაირია. ვანო ძალიან აქტიური და კომუნიკაბელურია, უყვარს ხალხთან ურთიერთობა, სანამ ჯგუფი შევიკრიბებოდით, მანამდე დაიწყო ჩვენი გაცნობა, უნდოდა ყველა გაეცნო და ასეც მოხდა.

როდესაც ჯგუფის არჩევის საკითხი დადგა, ვანომ, ზედმეტი ფიქრის გარეშე, გამოგვიცხადა, რომ სურდა ჯგუფის ლიდერი და ჩვენც დავთანხმდით. ამის შემდეგ კი ის თავის მოვალეობას ღირსეულად ასრულებს.

როგორც აღვნიშნეთ, ვანო, ერთი შეხედვით, სერიოზული ბიჭია, მაგრამ, ვინც კარგად იცნობს, იცის მისი იუმორის შესახებაც. ის ყოველთვის მზადაა, ადამიანი გააღიზიოს, სრულიად სერიოზული საუბრისას შეუძლია, იხუმროს ისე, რომ მიმიკა არ შეიცვალოს, სხვას კი გაცინება „აიძულს“. ერთხელ ლექტორს მოსკლა დააკვირდა, დეპარტამენტის კი დაკეტილი დავგვხდა. ვანო კართან მივიდა, ფურცელი ამოიღო და დაწერა: „ვიყავით, არ იყავით, სად იყავით?“ და კარზე გააკრა... ყველაფერს აკვირდება და სასაცილოდ აქცევს ხოლმე. ერთხელ მთელი ჯგუფი უქმედ ვიყავით, ვანომ გადანიჭა, პატარა სახელმწიფო შექმნა, სადაც ყველას ჩვენ-ჩვენი



...იცით, ვანო რომანტიკოსიცაა. მას ერთადერთი და მარადიული სიყვარულის სჯერა. ჩვენ ჯერ სკეპტიკურადაც ვუცქერდით 18 წლის ბიჭის განაცხადს და ხშირად ვეკამათობდით, გვინდოდა, დაგვერწმუნებინა იმ რეალობაში, რომ ერთადერთი და მარადიული სიყვარული არ არსებობს, მაგრამ ვანომ, როგორც ყოველთვის, გვაჯობა და დაგვიმტკიცა, რომ შესაძლებელია, სიცოცხლის ბოლომდე ერთი გიყვარდეს.
... ჩვენი ჯგუფის მეგობრული და მზრუნველია. ვანოს, ჩასახუტებლად გამოხადებული, გამოილი მკლავების გარეშე, გამოცდა წარმოუდგე-

ნელია. ყოველთვის, როცა მოწყენილს გხედავს, მოდის, გვამშვიდებს, გვეუბნება, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ხელებს გვიშლის, – მოდი, ჩაგეხუტო. ხშირად უმიზეზოდ გვთხოვს ჩახუტებას. ყველაზე ბედნიერი მომენტი ბოლო გამოცდის დღეა, როცა, უკვე თავისუფლებს გვინერს, ერთმანეთს კარგა ხნით დავემშვიდობით. ვანო, საზაფხულო არდადეგების წინ – ბოლო გამოცდის დღეს, განსაკუთრებულად დაგვემშვიდობა. არასდროს დაგვაინწყდება გზა უნივერსიტეტიდან მეტრო „დელისამდე“, ვანოსთან ერთად განვლილი უკანასკნელი გზა – ყველას ძლიერ ჩაგვეუხუტა, მოგვეფერა, ჩვენ ამაში უცნაური ვერაფერი დავინახეთ და მხოლოდ იმ იმედით დავცილდით, რომ ახალ სასწავლო წელს ერთად დავინწყებდით, მაგრამ...

გაგიკვირდათ, ალბათ, ვანოზე ისევე ანწყობი რომ ვლაპარაკობთ, ისევე ვამბობთ – ვანო კარგია, ვანო განსაკუთრებულია. არ გვინდა, იგი ოდესმე „იყო“ გახდეს, მერე რა, რომ ხორციელი ცხოვრება დატოვა, ის მაინც ჩვენთანაა, ჩვენთან ერთად აგრძელებს ცხოვრებას ჩვენს მოგონებებში, ჩვენს გულებში... ყველას ძალიან გვენატრება, არცერთი დღე არ გადის მასზე ფიქრის გარეშე; ყველას გვიჭირს, გავურბივართ მასზე საუბარს, მაგრამ მარტონი რომ ვერჩებით, ყოველთვის მასზე ვფიქრობთ...

გვიჭირს, არა მხოლოდ ჩვენ, ვანოს მეგობრებს, არამედ – პედაგოგებსაც, ვისაც ვანოსთან შეხება მცირე ხნით მაინც ჰქონდა. ჰისტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი რუსუდან რუხაძე აღნიშნავს: „– ძალიან ძნელია იოანე ვაჭაბაძეზე წარსულ დროში საუბარი. მისი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია ოჯახისთვის, უნივერსიტეტისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის. იოანე ვაჭაბაძე გამოჩნეული და ძალიან პერსპექტიული სტუდენტი იყო, თავისი ნიჭით, სწავლის უნარით, ზრდილობით. უნივერსიტეტში სწავლების ერთი წელიც საკმარისი აღმოჩნდა ამის შესამჩნევად. დარწმუნებული ვარ, რომ თითოეულ ჩვენგანს, ვინც მას ვახსოვდება ამ ერთი წლის მანძილზე, არასდროს დაავიწყდება მისი სანდომიანი ღიმილი და სამუდამოდ დარჩება ტკივილი ამ შესანიშნავი ახალგაზრდის უდროი წასვლის გამო“.

ისეთი ადამიანი, როგორც ვანოა, არ შეიძლება დავივიწყოთ. ვანოს სიცოცხლე ყველაზე მეტად სჭირდებოდა. მან ამქვეყნიდან წასვლის მიზეზი თავ დაამტკიცა თავისი ფასი – მისი სიყვარული სიცოცხლის წყურვილზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, იმდენად ძლიერი, რომ ფიქრიც კი არ დატოვებია, თემოს გადასარჩენად თავი გაეწირა, თუმცა, საუბედუროდ, ბედისწერამ არცერთი არ დაინდო. ვანოსთვის თემო განსაკუთრებული იყო, ხშირად გვიყვებოდა მასზე, გვეუბნებოდა, რომ გაცილებით ჭკვიანია, ძალიან ამაყობდა მისით. ვანო თემოზე დიდი იმედებს ამყარებდა, თემოც იმედებს არ უცრუებდა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ თემო მიმდინარე წელს თსუ-ის პირველკურსელი გახდა, 100-პროცენტით სავანტო დაფინანსებით...

ვანო ოცნებობდა, სხვევისთვის საჭირო გამხდარიყო, ისეთი კაცი, ყველა პატივს რომ სცემდა და დააფასებდა... ვანო ყოველთვის მოგვინოვებდა სწავლისკენ, გვეუბნებოდა, რომ საუკეთესო უნდა ვყოფილიყავით, სტიმულს გვაძლევდა. მით უმეტეს ახლა, როცა უფრო უმეტად ვართ ვალდებული, მისი სულის უკვდავებისთვის ბევრი რამ უნდა შევქმნათ...
დოსტოვესკის უთქვამს – „რა საზიზღარია ადამიანი, იტირებს, იტირებს და შეიწყვეტს“. ჩვენ ვანოს გარდაცვალებას არ შევეჩვიეთ, შევეჩვიეთ დროებით მის გარეშე არსებობას, მხოლოდ იმ იმედით, რომ სადაც ისევე შევხვდებით ერთმანეთს...
...გვენატრები, უსაზღვროდ გვენატრები. როცა, ადრე თუ გვიან, ისევ შეხვდებით, ვიცით, ისევ ის ახალგაზრდა, ღმილიანი, კეთილთვალა ბიჭი იქნები, რომელიც ისევე გაშლის ხელს ჩვენს ჩასახუტებლად და წინ გაგვიძლებს...

მედიცინის ფაკულტეტის III სემესტრის V ჯგუფის სტუდენტები




ნიშნად მარადიული ხსოვნისა

მიდიან დიდი ადამიანები და რჩება საუკეთესო მოგონებები მათ შესახებ, ნაამაგარ თაობებს კი ვალდებულად მიანიჩნიათ, პატივი მიაგონ საამაყო ნინაპრების ღირსეულ ხსოვნას და არა დაიშურონ მათი სახელის უკვდავსაყოფად.

სწორედ სამედიცინო უნივერსიტეტის შესანიშნავ ტრადიციათა დაცვა-შენარჩუნების მცდელობის კიდევ ერთი საუკეთესო ნიმუში გახლდათ თსუ-ის ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტში, პროფესორ ლიანა კიკალიშვილის ხელმძღვანელობით გამართული შეხვედრა სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ კოლექტივთან, ქართულ სამედიცინო საზოგადოებასთან, სადაც პატივი მიაგნეს სამედიცინო დარგის საუკეთესო წარმომადგენლის, პროფესორი შალვა თოიძის – შესანიშნავი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, საინჟინერო მოქალაქის და ქირურგის, ათეულწლების განმავლობაში კათედრის გამგის, სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი, ექიმთა თაობების აღმზრდელის მარადიულ ხსოვნას.

საზოგადოების წინაშე მოგონებებით წარდგენ ბატონი შალვა კოლეგები და მონაფენი, პროფესორები: ზურაბ ვადაჭკორია, ლიანა კიკალიშვილი, ზურაბ კაციტაძე, ილია ქანუყვაძე, დიმიტრი კორძაია და დიდი სიყვარულით და მოწინებით გაიხსენეს გონიერებით და სიბრძნით აღსავსე, ღრმადგანსწავლული პედაგოგი, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა საქართველოში მორფოლოგიური მედიცინის, განვითარებისთვის. „– მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს პერიოდში მის მიერ ჩატარებული ურთულესმა ოპერაციებმა ათბინობით მეტობის სიცოცხლე შეუნარჩუნა, შინ დაბრუნებული კი, იგი ექვსი ათეული წელი თავდადებით ემსახურა სამედიცინო ინსტიტუტს (შემდგომში – უნივერსიტეტი) და უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა მედიცინის წინსვლა-განვითარების საქმეში“, – აღნიშნა ქალბატონმა ლიანა კიკალიშვილმა; „სამედიცინო უნი-



დარეჯან კომლაძე

მეგობრის მომხმარებელი

ოქტომბრის თვეში რექტორის მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც, სამწუხაროდ, ვეღარ დავესწრო ამ საბჭოს უცვლელი წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ტატიშვილი.

ბატონი გურამი მიეკუთვნებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოღვაწე მედიკოსთა იმ ბრწყინვალე თაობას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის წინსვლა-განვითარების უწყვეტ პროცესში. მისი ძალისხმევით მომზადდა ქირურგთა თაობები, დაინერგა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდები. მოღვაწეობის ყველა პერიოდში ბატონი გურამი ტატიშვილს უმნიშვნელოვანესი თანამდებობები ეჭირა – წლების მანძილზე გახლდათ სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად თსუ) ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე, სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიის მესამე კათედრის (სუბპროდინატორთათვის) გამგე, ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, მან ჯერ კიდევ ადრეულ წლებში მენეჯერული საქმიანობის ალლო და უნარი გამოავლინა – ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობისას

დიდი წვლილი შეიტანა ამ ორგანიზაციის მუშაობის უმოკლეს პერიოდში გადარქმის საქმეში. იგი გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის მთავარი ქირურგი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ვიცე-პრეზიდენტი.

დიდია ბატონი გურამ ტატიშვილი როლი საქართველოს ქირურგთა ასოციაციის აღმორჩენის საქმეში. იგი, ასევე, სათავეში ჩაუდგა და გახლდათ ფურნალ – „ქირურგიის მაცნე“ გამოცემის სულისჩამდგმელი, ხოლო მისი მოღვაწეობა რექტორის მრჩეველთა საბჭოში ყოველთვის საქმიანი, აქტიური და შედეგიანი იყო.

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან ბატონი გურამი, მაშინ, როდესაც კიდევ არაერთი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო. მან ღირსეულად ატარა როგორც დიდი სამედიცინო, ასევე, სანაქებო ოჯახის წევრის და უფროსის საპასუხისმგებელი ტვირთი. პროფესორ გურამ ტატიშვილის ნათელი ხსოვნა და პატივისცემა არასოდეს მიეცემა დავიწყებამ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრთა სახელით, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ზურაბ კაციტაძე

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქციაში მზადდება თსუ-ის ისტორიის ამსახველი ელექტრონული ფოტოარქივი. გთხოვთ გადმოგიგზავნოთ შესაბამისი ფოტოსურათები ელექტრონულ ფოსტაზე: newspapersmu@gmail.com ან მოგვანათო რედაქციაში დასასკანირებლად (მის: ასათიანის 33; თსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის მე-6 სართული; ოთახი 600; ტ: 2 54 24 64).





ე ქ ი მ ი მ ხ რ ტ ვ რ მ ი

ზ ე მ ნ ე ყ მ ი ს ნ რ ს ქ ვ რ მ ი



ფრანგი ექიმი რენტგენოლოგისა და მხატვრის, ფორუ-ალექსანდრ შიკოტოს, შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია მოიპოვება. ცნობილია, რომ მან დაამთავრა პარიზის ხელოვნების კეთილშობილთა სასწავლებელი, შემდეგ მოულოდნელად მედიცინით დაინტერესდა და ჩაირიცხა მედიცინის უმაღლეს სკოლაში. უკვე პროფესიონალი

ობას საკმაოდ წარმატებულად აფასებენ ხელოვნებამცოდნეები. მისი ფერწერული ნამუშევრები 1887—1913 წლებში ყოველწლიურად იყო წარმოდგენილი პარიზის სალონებში. თუმცა, როგორც აღნიშნავენ, შიკოტო, უპირველეს ყოვლისა, იყო ექიმი, რაც კარგად აისახა მის შემოქმედებაშიც.

მის ყველაზე ცნობილ ნამუშევრებში („ინტუბაცია“ და „ექიმი შიკოტოს პირველი მცდელობა რენტგენის სხივების გამოყენებით სარძევე ჯირკვლის კიბოს მკურნალობისა“) მხატვარმა ავტობიოგრაფიული გამოყენება.

პირველ ნახატზე გამოსახულია დიფტერიით დაავადებული ბავშვის ინტუბაცია. მეორე ნახატზე ავტორს ვხვდებით ძუძუს კიბოთი დაავადებული უცნობი პაციენტი ქალის რენტგენის აპარატით დასხივებისას.

როგორც ხელოვნებამცოდნეები აღნიშნავენ, ექიმმა შიკოტომ ეს ნამუშევრები დახატა, რათა დოკუმენტურად აეხსნა დიაგნოსტიკის პროცესი. მხატვარი ყურადღებას ამახვილებს არა იმდენად პერსონაჟებზე, რამდენადაც სამედიცინო აპარატურის გამოყენების მნიშვნელობაზე. ორივე ნახატი იხსნება პარიზის საავადმყოფოების საზოგადოებრივი დახმარების მუზეუმის კოლექციაში. შიკოტოს შემოქმედებაში ვხვდებით რელიგიურ თემატიკაზე შექმნილ ნამუშევრებსაც, თუმცა ისინი ნაკლებ პოპულარობით სარგებლობენ.



ექიმი, იგი ხელმძღვანელობს რადიოლოგიის განყოფილებას ბროკის ჰოსპიტალში. შეიძლება თქვას, შიკოტო იყო ერთ-ერთი პირველი ფრანგი რენტგენოლოგი.

ალანინშავია, რომ ამ პერიოდში მას არ შეუწყვეტია საყვარელი საქმიანობა — აგრძელებდა ხატვას. ექიმი მხატვრის შემოქმედებით მოღვაწე

ამაოზადა ნატო პოლქაპაძე



ჩვენი გაზეთის საშუალებით არაერთი შემოქმედებითი ნიჭით გამოჩენილი სტუდენტი გაიცნო მკითხველმა. ისინი სწავლას სიამოვნებით უთავსებენ საყვარელ საქმიანობას, იქნება ეს სიმღერა, ცეკვა, წერა თუ ხატვა... ერთი მათგანია ლიკა ბულაძე, მედიცინის ფაკულტეტის მესამე-სემესტრელი, საინტერესო ფერწერით და ხედვით...

კრეტულ ფანრს არ ვირჩევ — ხშირად ამას ხასიათი და განწყობა განსაზღვრავს. მისი ბიოგრაფიიდან ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პერიოდად ზაალ სულაკაურის სტუდიაში სწავლის პერიოდს მიიჩნევს. სწორედ ამ პერიოდში გაიგზავნა მისი ფერწერული ნამუშევრები კონკურსზე წარსადგენად ფინეთში, სადაც გამარჯვებულის დიპლომი დაიმსახურა.



ლიკას უჭირს გამოარჩიოს რომელიმე ნამუშევარი — ყველა ერთნაირად ეფერვას, თითოეული ხომ გარკვეული ისტორიის და ემოციის მატარებელია, თუმცა ყველაზე მეტად მაინც „ვაფა-ფშაველა“ უყვარს, პირველი წარმატება და დიპლომი საქართველოში, ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური ფესტივალის ფარგლებში, სწორედ ამ ნახატმა მოუტანა. საერთოდ, სახელწოდებებს იშვიათად არქმევს ნამუშევარს, მნახველის ფანტაზიას მეტ გასაქანს აძლევს და მეტ სივრცეს უტოვებს აღქმისთვის...

ჩვენი სტუდენტი რესპონდენტი სიამოვნებით გვესაუბრება მედიცინისადმი ინტერესზეც, რომელიც ადამიანებისადმი დახმარების სურვილითაა ნაკარნახევი: „არაფერია განკურნებული პაციენტის მადლიერებაზე უფრო დიდი ბედნიერება“, — აღნიშნავს იგი. ძალიან კარგად იცის, რომ ბევრი დრო და შრომა დასჭირდება პროფესიონალად ჩამოყალიბებას, რისთვისაც საფუძველი თსუ-ში მიღებული ცოდნა იქნება; მისივე თქმით, აქ ყველა პირობა და საუკეთესო გარემოა ცოდნის მიღებისა და მრავალმხრივი განვითარებისთვის... ფიქრობს, რომ მის ცხოვრებაში ძირითად საქმიანობას



— ექიმობას — ფერწერა შეეგებება, ამის გარეშე ვერც წარმოუდგენია — ხატვის პროცესი ხომ ემოციის გამოხატვასთან ერთად გაანალიზების, დაფიქრების, ერთგვარი განტვირთვის საშუალებას იძლევა...

ჯერ ზუსტად არა აქვს გადწყვეტილი რა გზით წავა მედიცინაში, თუმცა, ნიშანდობლივია, რომ მომავალი ექიმი მხატვარი პლასტიკურ ქირურგობაზე ოცნებობს: სილამაზის აღქმის მხატვრისეული უნარი მხოლოდ დაეხმარება მიზნის მიღწევაში.

მალე ლიკა გამოფენის გამართვას გეგმავს თსუ-ში. გვჯერა, გამოფენას ეყოლება უამრავი დამთვალიერებელი, იქნება გულწრფელი მილოცვები, კომპლიმენტები, ყვავილები... და წინ კიდევ ბევრი წარმატება მედიცინასა თუ ფერწერაში...

ნატო პოლქაპაძე



საინტერესო წიგნი მადიკოსებისთვის

საოცრებაში მადიკონაში (ალბორენაში, გაბორონაში, ბანიონაში)



„საოცრებაში მადიკონაში (ალბორენაში, გაბორონაში, ბანიონაში)“ — შიკოტოს მკითხველისთვის შეთავაზებული მეტად საინტერესო წიგნს, რომლის ავტორი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ბეჟიაია, გახლავთ.

სიცოცხლის ბოლოს დააწესა საქველმოქმედო პრემია ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგია-მედიცინის, ლიტერატურისა და მშვიდობის დარგში მომუშავე ადამიანებისთვის.

საღვთისოდ, ეს პრემია ნობელის სახელს ატარებს და ყველაზე პრესტიჟულად ითვლება მთელ მსოფლიოში. ყოველი წლის ბოლოს შედგეთისა და ნორვეგიის აკადემიების მიერ ერთი მილიონი დოლარი გადაეცემა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებსა და მოღვაწეებს მშვიდობის განმტკიცების დარგში უდიდესი წვლილის შეტანისთვის.

ავტორმა წინამდებარე წიგნში გავაცნო სწორედ გამოჩენილ მეცნიერთა ის ჯგუფი, რომლებშიც შედიან ნობელის პრემიის ლაურეატები, ვინც უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესში. წიგნში არაერთი მეცნიერის მიღწევებზეა მოთხრობილი, მათ შორის, ქართველებზეც, რომელთა გამოკვლევები მნიშვნელოვანი და საამაყოა.

ფიქრობ, პროფესორ გურამ ბეჟიაიას წიგნი — „საოცრებაში მადიკონაში“ საინტერესოა არა მარტო ცოდნის გაღრმავებისთვის, არამედ გზას აჩვენებს სტუდენტებს და ახალგაზრდებს სიახლეების დასაწერად და ნახალებს მეცნიერებისკენ მიმავალ გზაზე.

ვაჟა გვანცელაძე, თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, საპარტიო უპრეზიდენტი და სახალხო მდივანი, მადიკონის აკადემიის აკადემიკოსი, მადიკონის მადიკონათა დოქტორი, პროფესორი

„თქვენი“ შუა სეპტემბერი



ბოსხის ხელოვნება იქმნებოდა იმ მრავალფეროვანი პროცესების ფონზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების ევროპის ხელოვნებაში. ყველაზე საინტერესო, მრავალფეროვან და მრავალმხრივ შემოქმედებით აღმასვლას ფერწერაში დაეთხზა მისი შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლა. ძალას იკრებდა ჰუმანიტური აზროვნება, რეალობის კრიტიკული აღქმა, სწრაფვა შემეცნებისა და შეცნობისკენ... სწორედ ამ საფუძველზე გაჩნდა და განვითარდა ბოსხის შემოქმედებაში სატირული და დიდაქტიკური მოტივები... დასაწყისი შედარებით მოკრძალებული იყო, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ გახლდა!

სურათის ირგვლივ კამათი დღემდე გრძელდება. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ის მიენერება ბოსხს, სინამდვილეში კი მის ფუნჯს არ ეკუთვნის. უმრავლესობის აზრით, ეს მაინც ჰიერონიმუს ბოსხის ნამუშევარია. უტყუარ დასტურად მოკვავთ პეიზაჟი უკანა ფონზე, რომელიც აბსოლუტურად ბოსხისეული ხელწერითაა შესრულებული.

სიუჟეტის თემა ნიდერლანდური ფოლკლორზეა დამყარებული. არსებობს ნიდერლანდური გამოთქმა: „თავში ქვა აქვს“, რომელიც სულელ, ბრიყვ ან ფსიქიკურად შეშლილ ადამიანებზე ითქმებოდა. პარალელურად ფოლკლორში არსებობდა გადმოცემა, რომ თუკი ბოროტ ქვას (რომელიც ზოგჯერ ძვირფასი ქვაც კი იყო) ქირურგიული ჩარევით ამოუღებდნენ ადამიანს, ის განიკურნებოდა.

ბოსხი სწორედ ასეთ ოპერაციას ხატავს. სწული (სულელი) მორჩილად ზის სავარძელში. ექიმი მისი ჭრილობიდან იღებს არა ქვას, არამედ ყვავილს. როგორც მკვლევარები ფიქრობენ, მიუხედავად მცირე ზომისა, ეს ყვავილი ტიტაა. მსგავსი მაგიდაზეც დევს. ტიტა კი მიათმურებოდა და მიმდობლობის სიმბოლოდ ითვლებოდა.

სატირულ განწყობას ამაფრებს დიდი რკინის ძაბრი, რომელიც ქირურგს თავზე ახურავს. რისი თქმა უნდაა ამით მხატვარს? იქნებ იმის, რომ როგორც ძაბრში ვერ გაჩერებ სითხეს, ისე ცრურწმენით შეპყრობილი მკურნალის თავში არ

სიუჟეტის თემა ნიდერლანდური ფოლკლორზეა დამყარებული. არსებობს ნიდერლანდური გამოთქმა: „თავში ქვა აქვს“, რომელიც სულელ, ბრიყვ ან ფსიქიკურად შეშლილ ადამიანებზე ითქმებოდა. პარალელურად ფოლკლორში არსებობდა გადმოცემა, რომ თუკი ბოროტ ქვას (რომელიც ზოგჯერ ძვირფასი ქვაც კი იყო) ქირურგიული ჩარევით ამოუღებდნენ ადამიანს, ის განიკურნებოდა.

გაჩერდება ჭკუა და გონება. ოპერაციას სასულიერო პირები ესწრებიან. კათოლიკე მღვდელი სიტყვიერ ნუგეშს აძლევს სწულს. მონაზონი მშვიდად აკვირდება ყველაფერს. წიგნი მის თავზე შეიძლება ორგვარად გავიგოთ: როგორც ფუჭი ცოდნა, რომელსაც ცრურწმენა გამოუყენებულს ხდის, ან როგორც გროტესკული გაგება „საქმის მცოდნე“ მონაზონისა.

ლელა ჯიყავილი, წიგნიდან — „ლირი მხატვრები“, პიროვნებას გოსხი

„საპედიტიზო გაზეთი“ რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64 რედაქტორი ლელა ჯიყავილი კორექტორები: მანანა ფხალაძე ტ.555 29 98 27 დარედაქცია ტ.558 17 08 47 ნატო პოლქაპაძე ტ.555 28 28 97 ელ-ფოსტა newspaperstsmu@gmail.com

